

GrCF2 W2 - Tbilisi Bus Extension

თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: 51207

ბიზნეს სექტორი: ინფრა ევრაზია

შეტყობინების ტიპი: სახელმწიფო

გარემოს დაცვის კატეგორია: ბ

მიზნობრივი საბჭოს თარიღი: 2019 წლის 27 ნოემბერი

სტატუსი: გაიარა საბოლოო განხილვა, წარდგენელია აქციონერთა საბჭოზე

პროექტის მოკლე ანოტაცია

PSD გამოქვეყნებულია: 2019 წლის 19 სექტემბერს

პროექტის აღწერა

საქართველოსთვის გაცემული კრედიტი, 80 მილიონ ევროს მოცულობით, რომლის გადასესხება მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, და მოხმარდება თბილისის სატრანსპორტო კომპანიის („კომპანია“) საჭიროებებს, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალურ კომპანიას და რომლის მართვაშია ავტობუსები, მეტროპოლიტენი და საბაგირო გზები თბილისში. კრედიტის თანხა გაიყოფა ორ ტრანშად: 65 მილიონი ევრო და 15 მილიონი ევრო, შესაბამისად. პროექტი დააფინანსებს თანამედროვე 12-მეტრიანი დაბალიატაკიანი, კომპრესირებულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე („CNG“) ავტობუსების ახალ პარკს, და ქალაქში მდებარე ავტოსადგურების რეაბილიტაციას/მოდერნიზაციას.

პროექტის მიზნები

ინვესტიცია ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სანდობის, უსაფრთხოების და ეფექტიანობის გაუმჯობესებას, ამავე დროს CNG ტექნოლოგია შეამცირებს სატბურის გაზების ემისიებს. პროექტი ითვალისწინებს დაბალიატაკიანი ავტობუსების შემოყვანას, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს, რადგან გაუადვილებს ასვლას მგზავრებს საბავშვო ეტლებით და სავაჭრო ჩანთებით, განსაკუთრებით ქალებს და იმ პირებს, ვისაც შეზღუდული აქვთ მოძრაობა, მათ შორის მოხუცებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

გარდა ამისა, ახალი ავტობუსები ხელს შეუწყობს ავტობუსის ოპერირების უსაფრთხოების გაზრდას.

გარდამავალი პერიოდის ზემოქმედება

კარგი

აღნიშნული პროექტი არის მწვანე ქალაქები 2-ს ნაწილი (“GrCF2”) და თბილისის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის შემდგომი ინვესტიცია (“GCAP”). GrCF2-ს ძირითადი მიზანია გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და შესაბამის ქალაქებში „მწვანე“ გარდამავალი პერიოდის ხარისხის უზრუნველყოფა. GrCF2 ასევე მიზნად ისახავს საჭირო შესაძლებლობების განვითარებას, და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის უკეთეს კოორდინაციის და თანამშრომლობის ხელშეწყობას, მიზნობრივი ინვესტიციებისა და ინიციატივების მართვის, საექსპლუატაციო ეფექტურობის და ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით. GrCF2-ის ფარგლებში, EBRD კიდევ უფრო მეტ ყურადღებას გაამახვილებს GCAP-ის განხორციელებაზე, ამასთან, არსებობს მოლოდინი, რომ ყველა სუბ-ინვესტიციის მინიმუმ ნახევარი წარმართული იქნება GCAP-ის მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაზე. ბანკი ასევე ეცდება შეიმუშაოს უფრო ქმედითი პოლიტიკური რეკომენდაციები მიღებული გამოცდილების, მიზნობრივი კვლევებისა და გაწეული ტექნიკური დახმარების გათვალისწინებით. გარდამავალი პერიოდის საერთო ზემოქმედება შერბილებული იქნება „მწვანე“ მიდგომებით და ეფექტური მართვით.

აღნიშნული პროექტი მიმართულია გარდამავალ პერიოდში მწვანე მიზნების მიღწევაზე და იგი უფრო ხელსაყრელი იქნება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სუფთა სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფის და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების გზით, რაც თბილისში მანქანებით გადაადგილების ქმედითი ალტერნატივა იქნება. პროექტი შემდგომშიც ხელს შეუწყობს ეფექტური მართვის დანერგვის მიზანს თბილისში აღნიშნული სექტორის რეფორმების გაგრძელებისა და ავტობუსების მომსახურების მარშრუტების შეცვლის გზით.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველოს მთავრობა

საქართველო წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროთი, თბილისის მუნიციპალიტეტით და კომპანიით.

EBRD-ის დაფინანსება

80,000,000.00 ევრო

80 მილიონი ევროს ოდენობის სესხი საქართველოსთვის.

პროექტის მთლიანი ღირებულება

80,000,000.00 ევრო

პროექტის მთლიანი ღირებულება 80 მილიონ ევროს შეადგენს.

ასევე, ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება დახმარება პროექტის მომზადებისა და განხორციელების მხარდასაჭერად.

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების მოკლე შეჯამება

კატეგორია B (ESP 2014). დაბალი გამოფრქვევის შეკუმშულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე ავტობუსების შესყიდვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ზემოქმედება გარემოსა და სოციალურ გარემოზე უმეტესად ხელსაყრელი იქნება. ნებისმიერი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე და სოციალურ გარემოზე დამოკიდებული იქნება კონკრეტულ უბანზე და მისი შერბილება მარტივად მოხდება მართვის მოწინავე პრაქტიკის გამოყენებით. პროექტი ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ყველა ჯგუფის მისაწვდომობისა და მობილობის, ქალაქში ჰაერის ხარისხის და საქალაქო ტრანსპორტის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. პროექტი უკავშირდება მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას (GET) და მისი წილი 100%-ს შეადგენს.

განხორციელდა კომპანიის შიდა გარემოსდაცვითი და სოციალური ტექნიკური კვლევა ("ESDD"), რომელიც მოიცავდა კომპანიის არსებული მართვის სისტემების გადასინჯვას, გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგისა და აუდიტის ანგარიშებს, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) განხორციელების სტატუსს და ზოგადად, გარემოსდაცვითი და სოციალური რეგულირების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მე-2 ტრანშის ვალდებულების პირობის თანახმად, საჭირო იქნება დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური ტექნიკური კვლევა, ხოლო გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის ავტობუსების ფარეხის რეაბილიტაციის კომპონენტი განახლდება მას შემდეგ, რაც ტექნიკური ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი.

შეფასება ასევე მოიცავდა გარემოზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანალიზს და პროექტთან დაკავშირებულ სარგებელს, მათ შორის, ავტობუსების შემოთავაზებული მახასიათებლების ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობას. კომპანია ბანკის მოქმედი კლიენტია, ხოლო გარემოსდაცვითი და სოციალური ტექნიკური კვლევით (ESDD) დადასტურდა, რომ კომპანიამ გასულ წლებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით და გააჩნია ის ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობები, რაც აუცილებელია პროექტის ბანკის მოთხოვნების შესაბამისად განსახორციელებლად. ბანკი ასევე მხარს უჭერს კომპანიას მთელი რიგი ტექნიკური ღონისძიებებით, კერძოდ, უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელების, საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის მართვის უსაფრთხოების მენეჯმენტის, და პროექტის განხორციელების ჯგუფის (PIU) მხარდაჭერის მეშვეობით.

ტექნიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ არსებული გარემოსდაცვითი, ოკუპაციური ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, ასევე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრაქტიკა, მთლიანობაში შესაბამისობაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან. კომპანიამ ასევე ახლახან დანერგა უსაფრთხოებისა და

გარემოსდაცვითი მართვის ეფექტური სისტემები და ამჟამად ტრანსპორტის მართვის უსაფრთხოების პროგრამის შემუშავებისა და გამოყენების პროცესშია, მან ასევე თავდაპირველი პროექტის ფარგლებში მიიღო ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა. კომპანიის მართვის სისტემაში ასევე აისახა გენდერისა და მრავალფეროვნების ასპექტები. განახლდა გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნა შრომის უსაფრთხოების პრაქტიკის უწყვეტი გაუმჯობესება და განხორციელება, საგზაო მოძრაობა და სახანძრო უსაფრთხოება, ჩამდინარე წყლებისა და ნარჩენების მართვა. ასევე, საჭიროა გარემოსდაცვითი, სოციალური და უსაფრთხოების მართვის სისტემების შემდგომი გაუმჯობესება კომპანიის დონეზე, რაც მოიცავს დამატებით ტრენინგებს გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით, რისკების შეფასებას, ინსპექტირებას, ინციდენტების კვლევასა და ანგარიშების პრაქტიკას, ასევე გასაჩივრების სათანადო მექანიზმს:

ბანკი კომპანიის საქმიანობის მონიტორინგს განხორციელებს გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ანგარიშის მეშვეობით, და საჭიროების შემთხვევაში, ობიექტზე ვიზიტით.

ტექნიკური თანამშრომლობა

აღნიშნული პროექტი მოიცავს შემდეგი სახის ტექნიკური თანამშრომლობის ("TC") დავალებებს:

ტექნიკური კვლევა (ავტობუსების ფარების კომპონენტი). დავალების ღირებულება შეადგენს 50,000 ევროს, რომელსაც აფინანსებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აქციონერთა სპეციალური ფონდი ("SSF").

ავტობუსების მომსახურების რეფორმის მხარდაჭერა. აღნიშნული დავალების სავარაუდო ხარჯი შეადგენს დაახლოებით 50,000 ევროს, რომლის დაფინანსებაც შემოთავაზებულია საერთაშორისო დონორის ან აქციონერთა სპეციალური ფონდის მიერ.

პროექტის განხორციელების მხარდაჭერა. აღნიშნული დავალების სავარაუდო ხარჯი შეადგენს დაახლოებით 300,000 ევროს, რომელიც უნდა დაფინანსდეს საერთაშორისო დონორის ან აქციონერთა სპეციალური ფონდის (SSF) მიერ.

- **გენდერული თანასწორობისა და საქალაქო სატრანსპორტო პოლიტიკის ინტეგრაციის მხარდაჭერა.** აღნიშნული დავალების სავარაუდო ხარჯი შეადგენს დაახლოებით 125,000 ევროს, რომლის დაფინანსებაც შემოთავაზებულია ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის გენდერული საკონსულტაციო მომსახურებების ჩარჩოს ფარგლებში, რომელსაც აქციონერთა სპეციალური ფონდი აფინანსებს.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

გიორგი დოლიძე

gdolidze@metro.ge

+995 577 228278

<http://ttc.com.ge/>

საქართველო, თბილისი, 0112, ვაგზლის მოედანი 2, თბილისის სატრანსპორტო კომპანია

საქმიანი ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობების ან შესყიდვებისთვის, დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებისთვის, იხილეთ [EBRD შესყიდვები](#) : ტელ: +44 20 7338 6794 ელექტრონული ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი ინფორმაციის მიღების მიზნით

EBRD-ის პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული

შესყიდვებთან: ტელ: +44 20 7338 7168; ელექტრონული ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკა

[საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკა](#) განსაზღვრავს თუ როგორ უზრუნველყოფს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ინფორმაციის გაცემას მონაწილე მხარეებისთვის, რათა ხელი შეუწყოს მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ოპერაციების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

პროექტების ფარგლებში საჩივრების წარდგენის მექანიზმი (PCM)

პროექტის ფარგლებში საჩივრების წარდგენის მექანიზმი (PCM) არის EBRD-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმი. მოცემული მექანიზმი ითვალისწინებს კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ EBRD-ის დაფინანსებით განხორციელებული იმ პროექტების შესახებ წარდგენილი საჩივრების დამოუკიდებელ განხილვას, რომლებმაც სავარაუდოდ, გამოიწვიეს, ან შეუძლიათ გამოიწვიონ გარემოსდაცვითი/ან სოციალური ზიანი.

იხილეთ [პროექტის ფარგლებში საჩივრების წარდგენის მექანიზმის](#) (PCM) გვერდი, რათა გაიგოთ, თუ როგორ წარადგინოთ საჩივარი. PCM-ის ოფიცერი (pcm@ebrd.com) ხელმისაწვდომია თქვენს ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას წარდგენილი საჩივარი და რა კრიტერიუმები არსებობს მის რეგისტრაციასა და დასაშვებობასთან დაკავშირებით, [PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად](#).